

ინფორმაცია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესი აუდიტორული ოფისის მიერ
ორგანიზებული სოციალური უსაფრთხოების აუდიტისადმი მიძღვნილი სემინარის
მუშაობაში მონაწილეობის შესახებ

2009 წლის 1-8 სექტემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უმაღლესმა აუდიტორულმა ოფისმა CNAO-მ, როგორც ASOSAI-ს წევრმა ორგანიზაციამ, უმასპინძლა სემინარს თემაზე: „სოციალური უსაფრთხოების აუდიტი“. სემინარზე მიწვეული იყვნენ ზემოაღნიშნული გაერთიანების წევრი - ქვეყნები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩათვლით, სულ - 26 ქვეყანა, მათ შორის, საქართველო. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი წარმოდგენილი იყო ასევე ჰონგკონგისა და მაკაოს უმაღლესი აუდიტორული ოფისებით.

საქართველოს კონტროლის პალატიდან სემინარში მონაწილეობდა აუდიტორი გიორგი მელანაშვილი.

სემინარმა ჩაიარა ფორუმის ფორმატში, სადაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. უბედურ შემთხვევებთან დაკავშირებული აუდიტი;
2. სახელმწიფოს მიერ სუბსიდირებული საცხოვრებელი სახლების აუდიტი.

სემინარის მონაწილეებს საშუალება მიეცათ გასცნობოდნენ ჩინეთის სახელმწიფო აუდიტორული ოფისის ორგანიზაციულ - ფუნქციონალურ სტრუქტურასა და ინფორმაციას ჩინეთში არსებული სოციალური უსაფრთხოების შესახებ, რომელიც წარმოადგინეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გენერალური აუდიტორის მოადგილე იუ ქსიომინგმა და ადამიანური რესურსებისა და სოციალური უსაფრთხოების მინისტრმა დონგ უინგშენმა.

პირველ საკითხთან დაკავშირებით პრეზენტაციები გააკეთეს: ავსტრალიის, ისრაელის, ბანგლადეშის, ტაილანდის, ვიეტნამისა და ჩინეთის უმაღლესი აუდიტორული ოფისების წარმომადგენლებმა. მათ მიერ განხილულ იქნა, როგორც ბუნებრივი (მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა, ცუნამი), ასევე ხელოვნურად გამოწვეული ზიანის (ომი, ეკონომიკური კრიზისი) აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებების გაძღოლის (დაგეგმვა, შესრულება, კონტროლი), ასევე, მათი განხორციელებისათვის საჭირო რესურსების (ადამიანური, ფინანსური და მატერიალური) აკუმულირებისა და გამოყენების აუდიტის მნიშვნელოვანი ასპექტები და აუდიტის შედეგად მიღწეული შედეგები.

მეორე საკითხის გარშემო დაგროვილი გამოცდილება წარმოადგინეს: სინგაპურის, მალაიზიის, კორეის, კვიპროსისა და ჩინეთის (ჰონგკონგი) წარმომადგენლებმა, რომელიც მოიცავდა მოქალაქეების საცხოვრებელი პირობებისა და გარემოს გაუმჯობესების მიზნით სახელმწიფოს მიერ განაშენიანების გეგმის შედგენას, ძველი ამორტიზებული სახლების, ასევე, ჯერ კიდევ არაამორტიზებული, მაგრამ არაკომფორტული საერთო საცხოვრებლების დანგრევის და მათ ადგილზე ახალიმოდერნიზებული სახლებისა და ინფრასტრუქტურის (ეზოები, სკვერები, სტადიონები) მშენებლობას. გარდა ამისა, სპეციალური სეგმენტის - დაბალი შემოსავლის მქონე მოქალაქეების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მრავალშვილიანი ოჯახების საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის პროექტებს. ასეთი პროექტების მიმართ გამოიყენება სხვადასხვა სქემა, ძირითადად, შეღავათიანი კრედიტი და/ან შემოსავლის დონის შესაბამისი შეღავათიანი ქირა. ამ კუთხით საუბარი წარიმართა აუდიტის

დანიშნულებაზე, როლსა და მიზანზე, რამაც საბოლოოდ ხელი უნდა შეუწყოს შეზღუდული რესურსების პირობებში, მათ სწორ და ადეკვატურ გამოყენებას, რათა მიღწეულ იქნეს მაქსიმალური ეფექტიანობა: კომფორტული საცხოვრებელი გარემო, ბედნიერი მოქალაქეები, ძლიერი სახელმწიფო.

თემების შესასწავლად ძირითადად გამოყენებული იყო შესაბამისობის, ფინანსური და შესრულების (ეკონომიურობა, ეფექტიანობა) აუდიტი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სემინარი მიმდინარეობდა ფორუმის რეჟიმში, რამაც ხელი შეუწყო მეგობრული ატმოსფეროს შექმნას და მრავალ საინტერესო საკითხზე დებატების გამართვას. სემინარის მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციას საქართველოს კონტროლის პალატაში მიმდინარე სტრუქტურული და ფუნქციონალური რეფორმების თაობაზე, ასევე, 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებებით გამოწვეული შედეგების (რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება, მსხვერპლი, როგორც სამხედრო მოსამსახურეებში, ასევე, მშვიდობიან მოსახლეობაში, ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქე და ქვეყნის მთელი ტერიტორიის მასშტაბით განხორციელებული საჰაერო იერიშების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურა და დამწვარი ტყის მასივები) აღმოსაფხვრელად გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების განკარგვის მდგომარეობის აუდიტის გარკვეულ გამოცდილებაზე.

სემინარის დასასრულს მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

აღსანიშნავია, რომ სემინარის მონაწილეთა ნაწილს აქვს სპეციალურ პროგრამაში - IDEA - Data Analysis Software “ მუშაობის გამოცდილება. აღნიშნული პროგრამა გამოიყენება 90 ქვეყანაში 16 სხვადასხვა ენაზე და აუდიტის განხორციელების პროცესში წარმოადგენს მძლავრ საშუალებას, ხელს უწყობს აუდიტის ეფექტიანობის ამაღლებასა და დროის ეკონომიას; იძლევა დიდი მოცულობის ინფორმაციის წამებში დამუშავებისა და ანალიზის (მონაცემების ურთიერთშედარება, სხვადასხვა კოეფიციენტების გამოყვანა) შესაძლებლობას. პროგრამას მონაცემთა დამუშავებით, კორელაციის ტენდენციისა და სხვა მეთოდების გამოყენებით, შეუძლია მომავალში მოსალოდნელი სავარაუდო შედეგების განსაზღვრა, ასევე, თაღლითობის ან შეცდომის სავარაუდო კერების აღმოჩენა, გეგმისა და ფაქტობრივი შესრულების ურთიერთშედარება და გადახრის ანალიზი და ა.შ.

საგულისხმოა ისიც, რომ სემინარის შედეგად შეძენილი კავშირები იძლევა ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის შესაძლებლობას. საქართველოს კონტროლის პალატის განვითარების ამ ეტაპზე კი, როდესაც იგეგმება ეფექტიანობის აუდიტზე გადასვლა, აღნიშნული კავშირები ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან: სემინარის მონაწილეთა უმრავლესობას გააჩნია ეფექტიანობის აუდიტში მუშაობის ხანგრძლივი პრაქტიკა და მათ მიერ დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება სასარგებლო იქნება შემდგომში ეფექტიანობის აუდიტისათვის საჭირო ინსტრუქციებისა და მეთოდოლოგიების შესამუშავებლად.